# სახალხო გაზეთი

№ 497 ოთხშაბათი, 11 იანვარი, 1912 წ. № 497

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## ახალ-ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

რადგანაც საახალწლო (1 იანვრის) ნომერი სულ გასაღდა, 5 იანვრის შემდეგ ჩვენი გაზეთის ახალი ხელის მომწერნი ამ ნომერს ველარ მიიღებენ და ვთხოვთ ხელის მოწერის დროს ეს მხედველობაში იქონიონ.

„სახალხო გაზეთის“ რედაქცია.

## 1912 წლის
# სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა

**სურათებიან დამატებით**

და

წლიურ ხელის მომწერთათვის

**პრემია „გრდემლი“-თ**

**წელიწადში 8 მ. და 50 კ.**

შეიძლება გადახდა ნაწილობით: პირველად 3 მ.;—1 მარტამდე 2 მ.;—1 მაისამდე 2 მ. და 1 ივლისამდე 1 მ. 50 კ.

(ვინც ასეთ ვადებზე გადიხდის ისიც მიიღებს პრემია „გრდემლს“).

პრემიის გასაგზავნი ხარჯი ვისაც სურს რომ ფოსტით მიიღოს **30 კ.**

**თვეში 75 კ.** ცალკე № 5 კ. დამატ. № 7 კ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კ.

რაჟდენ სოლომონის ძე და ნინა დიმიტრის ასული ჭავჭანიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ ასულის

**ვენერას** |ვერა|

უდროოდ გარდაცვალებას.

(1—1013—1)

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 12 იანვარს,**

**ბენეფისი დამსახურებულ არტისტის კ. მესხისა**

ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ქართ. სცენაზე**

# სირანო დე ბერჟერაკ,

რაინდული კომედია 5 მოქ. ედმონდ როსტანისა, თარგმანი კ. მესხისა და ბ. ახოსპირელის.

**მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყ. სალ. 8 ს.** ადგილ. ფასი საბენეფისოა, ა ნ ო ნ ს ი. მზადდება: მასხარები, ბედნიერებისათვის, ჩაძირული ზარი, მთის არწივი (შიუკაშვილისა).

(2.171.1) რეჟისორი **კ. მესხი. ქართ. დრ. საზოგად. ადმინისტრაცია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ, დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა **შელავათიანი** საფასურით. (წ.—1010—243)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—73).

20 იანვრიდან ამ 1912 წლისა

**იხსნება**

**სარატოვის მეთარზნეთა სარპინკების**

**სავაჭრო სახლის ე. ე. მაიერის**

საქარხნო მაღაზია.

(3—1014—1) ერევნის მოედ. „**კავკაზის**“ სასტუმროს ქვეშ.

**მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.**

**დ. უზნაძის წიგნზე**

# ექსპერიმენტალური პედაგოგიკა
(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა ნიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

(20—1655—11) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 209)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ, გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი,** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606**

(წლ. 1090 248)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 81)

**ექიმი გ. მ. ლოლობერიძე** იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--4)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 55).

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 6).

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—74).

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და სალ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.15)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.40).


# ტფილისი, 11 იანვარი

**რის ბრალია?** რამდენი ხანია ჩვენს საზოგადოებასა და პრესაში ისმის გოდება იმის შესახებ, რომ დღემდის არაჲც თუ რიგიანი ჟურნალი არ მოგვეპოვება, სულაც არა გვაქვს იგი. ყველა ჰგრძნობს, რომ ჟურნალი საჭიროა, მაგრამ დაარსებით კი მაინც ვერავის დაუარსებია. სად უნდა ვეძებოთ მიზეზი? ჩვენს საერთო საზოგადოებრივ დაძაბუნებაში. შედარებით თუ შევხედავთ საქმეს, უეჭველად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ დღეს უფრო ინტენსიურ საზოგადოებრივ ცხოვრებითა ვცხოვრობთ, ვიდრე უწინ. პრესაც გაცილებით უფრო მტკიცე ნიადაგზე სდგას. ხშირად გაგვიგონია, ეხლა ძნელადა თუ გამოსცენ ასეთი გაზეთი, რანაირიც „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ იყოვო. თუ ეხლანდელ გაზეთებს სუბსიდიებს მივცემთ, უეჭველია, ისინიც მოახერხებენ გაუმჯობესებას, მაგრამ მაინც ძალიან საეჭვოა, რომელი მდგომარეობა ემჯობინებოდა, მაშინდელი თუ ეხლანდელი. პრესა მხოლოდ მაშინ დადგება მტკიცე ნიადაგზე, როდესაც იგი საზოგადოების აუცილებელ საჭიროებად გადაიქცევა. საზოგადოების მოთხოვნილებამ, საზოგადოების განვითარებამ უნდა განავითაროს პრესაც და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს. რამდენადაც ძალიან განვითარდება მოთხოვნილება საზოგადოებისა, რამდენადაც მეტს ქართველისთვის გაზეთი სულიერ საზრდოდ გადაიქცევა, იმდენად მეტი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პრესის მდგომარეობა უზრუნველყოფილია. მაშინ თვით პრესასაც, საზოგადოების საჭიროებით გამოწვეულს, მეტი ღირებულება ექნება. იგი ორგანიული, განუყოფელი ნაწილი იქნება ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრებისა. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველ-დღიური პრესა სწორედ იმ მტკიცე ნიადაგზე სდგას, რომელიც განვითარებას უზრუნველჰყოფს. მას მხოლოდ მკითხველთა იმედი აქვს, დარწმუნებულია, რომ თვით მკითხველი შეინახავს გაზეთს და მისცემს საშუალებას განვითარებისას. პრესა ქველ-მოქმედების საზღვრებს სცილდება. რა თქმა უნდა, აქაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სხვა რომ არა იყოს რა, ის მაინც აღსანიშნავია, რომ გაზეთს ჯერაც ვერ მოუხერხებია გარეშე თანამშრომელთა შრომის დაჯილდოვება. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაზეთი შემდეგ მაინც უსუბსიდიოთ ამასაც მოახერხებს. ყოველ შემთხვევაში სასურველია, ეს ასე იყოს.

რა მდგომარეობაშია ჟურნალის საქმე?

საუბედუროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში მკაფიოდ არ არის გამოსახული საჭიროება ჟურნალისა. დააკვირდით, ვინ ჰლაპარაკობს განსაკუთრებულის სიძლიერით ჟურნალის დაარსებასაო? უპირველესად ყოვლისა თვით მწერლები, დააკვირდით დასაბუთებას! საჭიროა მწერლებს გასავალი, გასაქანი მიეცესო. თვით მკითხველ საზოგადოებისაგან კი ნაკლებად ისმის ასეთი მოწოდების ხმა. ეს კი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ წინადადება მოთხოვნილებას აღემატება. ამიტომაა, რომ დღემდის ვერც ერთმა ჟურნალმა ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომაა, რომ ყველა, ვინც კი ჟურნალის გამოცემას მოისურვებს უპირველესად ყოვლისა სუბსიდიაზე ჩამოაგდებს ხოლმე ლაპარაკს, უსუბსიდიოდ ჟურნალის გამოცემა დღევანდელ პირობებში შეუძლებელიაო. მაგრამ ჟურნალის გამოსაცემად მარტო ფული არა კმარა. საჭიროა ინტელექტუალური ძალები, საჭიროა მეცნიერულად მომზადებული მწერალნი. უფრო მეტსაც ვიტყვით: საჭიროა აზრთა ცოტაოდენი ერთგვარობაც. ჟურნალი არ შეიძლება იყოს აზრთა და მიმართულებათა კანგლომერატი. ჟურნალისთვის საჭიროა მტკიცე, მომზადებული სალიტერატურო წრე, ყველა ეს პირობები თუ დაცულია მაშინ შეგვიძლიან იმედიანად ვიყოთ.

ამით ჩვენ ის არ გვინდოდა გვეთქვა, თითქო დღევანდელს პირობებში შეუძლებელი იყოს ჟურნალის დაარსება. ჟურნლის დაარსების განზრახვა ბევრჯელა ყოფილა, ეხლაც შეიძლება ვცადოთ, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ აღგვენიშნა ის გარემოება, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ჯერ ვერ შეუქმნია ისეთი პირობები, რომ სერიოზულ ჟურნალის გამოცემა და მტკიცე ნიადაგზე დაყენება უზრუნველყოფილი იყოს.

# სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვალებულთ შამშინის და ბუტოვსკის ხსოვნას.

პირველად გაარჩიეს საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის მოხსენება ფინლანდიელების მიერ სამხედრო ბეგრის მოხდის მაგიერ ფულის გადახდის კანონ-პროექტის თაობაზე.

**მანუხინი.** კანონ-პროექტი იხილება 1910 წლის 17 ივნისის თანახმად, რომელიც ფინლანდიის შესახებ საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათის კანონების გამოცემის წესრიგს ეხება; ასეთ კანონის შემოღების თაოსნობა კი ხელმწიფეს ეკუთვნის; მოლაპარაკე საბჭოს უსაყვედურებს, სეიმი თავის აზრის გამოთქმას მოერიდაო. კანონ-პროექტის კომისიაში არსებითად უთანხმოება არ გამოუწვევია; გადასახადები შედარებით იმ შელავათთან, რომელსაც კანონ-პროექტი ფინლანდიელებს ანიჭებს, უმნიშვნელოა. კომისია წინადადებას იძლევა, რათა კანონ-პროექტი უცვლელად მიიღონ.

**გრიმი** წინააღმდეგი მოსაზრებისაა და ამბობს: კანონის საერთო სახელმწიფოებრივი წესით გამოცემა საჭირო არ არის, რადგანაც მისი გამოცემა ადგილობრივ საკანონმდებლო წესითაც შეიძლებაო. 1910 წლის 17 ივნისის კანონმა, რომელსაც იმპერიას ფინლანდიასთან დამოკიდებულება უნდა მოეწესრიგებინა, ისეთი (არა ნორმალური?) მდგომარეობა შეჰქმნა, რომ ფინლიანდიაში მის საწინააღმდეგო მიმართულებამ იჩინა თავი. ამისათვის, თუნდაც პოლიტიკურ მოსაზრებითაც, უფრო ხელსაყრელია დასახელებულ მიზნის ადგილობრივი წესით განხორციელება. ფინლანდიის ფართო საზოგადოებრივი წრეები ადგილობრივი სახალხო წარმომადგენლობის მეთაურობით უარსა ჰყოფენ 1911 წლის კანონის სავალდებულო ძალას. შეუძლებელია, რომ ეს გარემოება მხედველობაში არ ვიქონიოთ.

**თავმჯდომარე** აჩერებს მოლაპარაკეს: თუ უკვე გამოცემულ კანონს უარყოფით ეკიდებით, უადგილოაო.

თავმჯდომარის განმარტებაზე დარბაზში გაისმა: „მართალია“.

**გრიმმი** აცხადებს: ხსენებულ კანონის გამოცემა პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია.

**თავმჯდომარე** კვლავ აჩერებს ორატორს: საბჭო პოლიტიკურ შეცდომილებათა შესახებ არა მსჯელობს; იგი მხოლოდ არსებულ კანონთა ცხოვრებაში გატარებას ეხება; თუ მოლაპარაკეს აზრადა აქვს

დასახელებულ კანონის ცხოვრებაში გატარების შეუძლებლობის დამტკიცება, თავმჯდომარე მის უფლებას არ შეუზღუდავს; ხოლო რაც პოლიტიკურ მიზან-შეწყობილებას ეხება, მას არ ძალუძს, ნება დართოს მის შესახებ მსჯელობის გაგრძელებისა.

**გრიმმი** თვის სიტყვას ათავებს.

**ბარონ დელინგსგაუზენს** შესწორება შეაქვს, რომელ მიაც ნათქვამია, კანონ-პროექტი მხოლოდ ფინლანდიის მოქალაქეთ ეხებაო.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.** კანონ-პროექტი 17 ივნისის კანონის მიერ ნაჩვენებ წესით იქმნა წარმოდგენილი და მასში ადგილი არა აქვს რაიმე უსამართლობას ფინლანდიელების მიმართ. მეფის უფლებაა, კანონის საერთო-სახელმწიფოებრივი, თუ ადგილობრივ კანონმდებლობის წესით განხორციელება. ამ შემთხვევაში მეფის სურვილი უკვე გამოთქმულია და კამათი კანონის გამოცემის წესის შესახებ თავის თავად ისპობაო. გრიმმი კი საბჭოს ურჩევს, მეფეს ურჩიოთ უკან წაიღოს თვისი თანხმობა და კანონს ადგილობრივ საკანონმდებლო წესით მისცეს მსვლელობაო, რაც ყოვლად შეუძლებელია.

**სტატს-სეკრეტარი კოკოვცევი** წინააღმდეგია დელინგსგაუზენის შესწორებისაც და კანონ-პროექტი ფინლანდიელთა სასარგებლოდ მიაჩნია: რუსეთი თვის ახალგაზრდობას ჰგზავნის სამხედრო ბეგრის მოსახდელად და სულზე 4 მან. მანეთს იხდის, ფინლანდია კი მხოლოდ ორ მანეთამდე გადიხდის სულზეო.

**სტიშინსკის** კანონ-პროექტი იმპერიის მცხოვრებელთა ინტერესების შემლახველად მიაჩნია და ამბობს: ჯერაც არ არის განხორციელებული იმპერატორ ალექსანდრე III ბრძანება ადგილობრივ მცხოვრებლების ფინლანდიელებთან გათანასწორებაში სამხედრო ბეგრის მოხდითაო.

დელინგჰაუზენის შესწორება უარჰყვეს. კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღეს.

შემდეგი კრება 10 იანვარს მოხდება.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს** კრება დღეს მოხდება. განსახილველი აქვს ექვსი საქმე.

✦ **ტფ. ქალაქის მოურავად** ხელახლა ა. ი. ხატისოვი აირჩიეს.

✦ **საბჭოს ხმოსანთა შორის.** საბჭოს ხმოსანთა ერთს ჯგუფს განზრახვა აქვს, საბჭოს მომავალ კრებაზე, რომელზედაც გამგეობის ერთი წევრი უნდა აირჩიეს, აღძრან საკითხი გამგეობის წევრისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა** ნაცვლად თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, საბჭოს მომავალ კრებაზე (16 იანვარს) მოხდება.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** ხვალ იმ ახალგაზრდებს შეამოწმებს, რომლებიც სამხედრო ბეგარაში 1911 წელს იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ.

✦ **გამზად-ბეგ ქობულოვი** (შირვანსკი) გუშინ მაჰმადიანთა სასაფლაოზე მიწას მიაბარეს გაზ. „ზაკავკაზიე"-ს თანამშრომლის გამზად-ბეგ ქობულოვის გვამი. განსვენებული გულწრფელი და მაჰმადიანთა ცხოვრების კარგ მცოდნე ჟურნალისტად ითვლებოდა და აგერ ხუთი წელიწადია გაზ. „ზაკავკაზიე"-ში მაჰმადიანთა განყოფილებას განაგებდა. იგი წევრი იყო ტფ. მაჰმადიანთა ყველა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებისა და მას, როგორც პატიოსან ადამიანს, ყველა პატივსა სცემდა, განურჩევლად ეროვნებისა. განსვენებულის დასაფლავებას ხალხი ბლომად დაესწრო. იყვნენ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი, მაჰმადიანთა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხვანი.

✦ **კახეთის რკინის გზა.** როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, კახეთის რკინის გზის საზოგადოებას საქალაქო მიწა მიჰყიდოს იმ პირობით, თუ საზოგადოება ამ მიწაზე ამ თავობით ურმით გადასასვლელ ოთხს გზას გააკეთებს და შემდეგ ამ გზების რიცხვს რვამდე აიყვანს. კახეთის რკინის გზის მთავარმა გამგემ ინჟენერმა რაციბორსკიმ ქალაქს აცნობა, ამ პირობის შესრულება ყოვლად შეუძლებელიაო; მოსახერხებელია ამ ჟამად ორის გზის გაკეთება და შემდეგში კიდევ ორის გზის მომატებაო. ამ საკითხს ქალაქის საბჭო მომავალ თავის კრებაზე განიხილავს.

✦ **ნ. ნ. ლაგოდა,** ტფ. სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ **სახალხო ბანკი.** დღეს, საღამოს 7 საათზე, ტფ. საბირჟო კომიტეტის კრება მოხდება. კრება მოისმენს აგრონომ ა. ს. ფირალოვის მოხსენებას სახალხო ბანკის შესახებ.

✦ **ტფილის-ბაქოს ტელეფონის** მოწყობა, რომელიც 29 დღეს დასრულდა, 163,000 მან. დამჯდარა.

✦ **მეხილეთა საზოგადოების** საერთო კრება 13 იანვარს მოხდება.

✦ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ სამეურნეო საზოგადოებებს, მათ შორის **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასაც** წერილობით სთხოვა, ხელი შეუწყონ სახალხო ბანკების დაარსების განხორციელებაში.

✦ 9 იანვარს ტფილისში 68 უპასპორტო შეიპყრეს.

## ტფ. ქალაქის საბჭო.

**9 იანვარი.**

ჯერ რვა საათი არც კი იყო, რომ საბჭოს დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ამ საღამოს ასარჩევი იყვნენ ქალაქის მოურავი და გამგეობის ერთი წევრი ნაცვლად ა. ი. ხატისოვისა და თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

კრება სრულს 8½ საათზე დაიწყო **ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.** ქალაქის მდივანმა მ. ა. ჯაბარმა წაიკითხა საბჭოს წინა კრების ოქმი, რომელიც მცირე ცვლილებებითა და დამატებით დაამტკიცეს.

ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა, ქალაქის სამხედრო საკრებულოს წევრობაზე **ყუთი დაუდგას** ხმოსნებს: თამამშევსა და ქანანოვსა, ხოლო მათს კანდიდატობაზე ხმოსნებს: თავ. ვაჩნაძესა და მინეევს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა თუ შემდეგ რა ფასში დაეთმოს „კრუჟოკ"-ს საქალაქო შენობა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ხმოსნებმა: ანტონოვმა, ფრიდონოვმა, თავ. ა. თუმანოვმა, ი. დოლუხანოვმა, მიტკევიჩმა, ენფიანჯიანცმა, ბაბოვმა და სხვებმა. ერთნი ამტკიცებდნენ, საიჯარო ფასს ნუ ავსწევთ, ისევ ძველი დავტოვოთ, რადგანაც „კრუჟოკ"-ი საქალაქო შენობას იძვირებს, სხვაგან გადავა და მაშინ ეს შენობა იმის ნახევარსაც აღარ მოგვცემს, რასაც ახლა იძლევაო (ამ ჟამად „კრუჟოკ"-ს შენობა წელიწადში 9,480 მან. აქვს ნაქირავები). მეორენი კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და თხოულობდნენ, შენობისთვის 12,912 მან. ფასი დაედოთ წელიწადში, როგორც ამას ითხოვდა სატეხნიკო კომისიისა, ქალაქის გამგეობისა და ზოგიერთ ხმოსნის შეერთებული კრება. უკანასკნელი წინადადება საბჭომ მიიღო.

ჯერი მიდგა ქალაქის მოურავის არჩევაზე და ხმოსნები გამოცოცხლდნენ. **ი. ს. ჯაბადარმა** მოითხოვა, რომ არჩევნები ერთი-ორი კვირით გადაედოთ, რათა ასეთია სურვილი ზოგიერთ ახალ ხმოსნისა, რომელთაც სურთ, საქმის გარემოება რიგიანად გაიგონ.

ხმის უმეტესობით გადასწყდა, არჩევნები ამავ საღამოს მოხდეს. საბჭომ ქალაქის მოურავს წელიწადში 8,000 მან. ჯამაგირი დაუნიშნა 7,000 მან. ნაცვლად და შემდეგ ყუთი დაუდგა **ერთად-ერთს კანდიდატს ა. ი. ხატისოვსა**, რომელიც ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა 59 ხმით წინააღმდეგ 9 ხმისა.

ა. ი. ხატისოვმა ხმოსნებს მხურვალე მადლობა გადაუხადა არჩევისათვის.

გამგეობის წევრის არჩევა და სხვა საკითხები მომავალ კრებისთვის გადაიდო.

## ქ. მარიამ აბაშიძის იუბილეს გამო

**(წერილი ახალციხიდან)**

26 დეკემბერს, ადგ. თვით-მმართველობის დარბაზს გარედ, კონსტ. გვარამაძის ინიციატორობით და დეკანოზ დ. ხახუტაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ადგ. ქართველთა შორის საზოგადო კრება, რათა მოელაპარაკათ თუ როგორ სცენ პატივი მსახიობ ქალს მ. საფაროვ-აბაშიძეს მის იუბილეს გამო. კრებამ დაადგინა

ა) ქ. მარ. აბაშიძის საიუბილეო დღეს, 22 იანვარს გადავიხადოთ პარაკლისი იუბილიარის სადღეგრძელოდ და გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა.

ბ) გავმართოთ ჩვენ შორის ხელის მოწერა. შევკრიბოთ ფული და გაეგზავნოს დღესასწაულზე, სადაც ჯერ არს მარ. აბაშიძის სასარგებლოდ.

გ) გავმართოთ ერთი წარმოდგენა იუბილიარის პატივსაცემლად, სადაც მისივე ბიოგრაფია გაეცნობება დამსწრეთ და იმ წარმოდგენიდან შემოსული ფულით რაბათის დედათა სკოლის შენობაში მოვაწყოთ ახალი სამუდამო ქართული სცენა მარ. საფაროვ-აბაშიძის სახელობაზე.

ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად კრებამ მიანდო მისალოცი დეპეშის გაგზავნა და ხელის მოწერით ფულის შეგროვება: მღ. ბენ. კანდელაკს, ევგენია ასათიანს და კონსტ. გვარამაძეს (სოფ. აწყვერში ხელის მოწერითვე ფულის შემოკრება მიენდო ივანე ხმალაძეს). ხოლო საიუბილეო წარმოდგენის მოწყობა და გამართვა მიენდო: ქ. ქ. კონსტანცია მეფისაშვილს, ქსენია ჯუღელს, ევგენია ასათიანს, ალექსანდრა ბაიბურთელს, ბ.ბ. ვლად. დაფქვიაშვილს, გიორ. ქაჩხოევს, ალექსანდ. ჭურაძეს, ივანე ხმალაძეს და პავ. მეტრეველს.

**მოამბე.**

P. S. კრება დარბაზში უნდა მომხდარიყო, თვითმართველობის ნებით, მაგრამ, რადგანაც კრებაზე მისვლისას საზოგადოებამ ნახევარი საათით დაიგვიანა და შუადღის 12 საათის მაგიერ პირველის ნახევარზე შეიკრიბა, მეკარეს გული მოუვიდა, რომ თავის დროზე არ შეიკრიბნენ, გამოჯავრებულმა დაჰკეტა კარი და სადღაც გაჰქრა. ამის გამო კრება ცის ქვეშ მოხდა, სიცივეში. **იგივე.**

**(მცირე შენიშვნა თელავიდან)**

აი, მოახლოვდა 22 იანვარი, როცა ქართველმა საზოგადოებამ მადლობა უნდა გადაუხადოს სამშობლო სცენის ერთ მოღვაწეთაგანს ქ-ნ საფაროვ-აბაშიძისას და ჩვენ პროვინციებშიაც რითიმე უნდა აღინიშნოს ეს დღე. ჩემის აზრით, ამ დღეს ყველა პროვინციაში, სადაც ცოტად თუ ბევრად მოიპოვება სასცენო ძალა, იუბილიარის პატივსაცემად წარმოდგენები უნდა გაიმართოს. ამით ჯერ ერთი საზოგადოება გააცნობს ჩვენი სცენის მოჭირნახულეს.

რაც შეეხება თელავს, ასევე უნდა აღნიშნოს ეს დღე და თუ შესაძლებელია უკეთესადაც, რადგანაც ქ-ნი მაკო აქაურია, თელავში აღიზარდა, აქვე გამოსულა პირველად სცენაზე და მერე ხომ ამ ასპარეზზე თავდადებული მუშაკი შეიქმნა ოცდა თორმეტი წლის განმავლობაში.

**ვ. პაატაშვილი.**

**შემოწირულება მ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილეს გამო.**

ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისაგან . . . 200 მან.
თ. მარიამ ვახტანგის ასულის და ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანთაგან . . . . . 25 მან.
სოფ. იყალთოს საზოგადოებისაგან . . . . . 35 მან.
თ. იოსებ რევაზის ძის თარხნიშვილისგან . . . 15 მან.
კნ. ელენე იოსების ასულის თარხნიშვილისაგან 10 მან.
ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილისგან . . . 10 მან.
ალექსანდრე თევდორეს ძის სარაჯიშვილისაგან . 5 მან.
დღევანდლამდე მიღებულია . . . . . . . . 300 მან.

წევრი-ხაზინადარი საიუბილეო **კომიტეტისა კნ. ანასტასია მაჩაბლისა.**

## საგარეჯოს თეატრის გამო.

თეატრი სხვა კულტურულ დაწესებულებათა შორის ერთი უტყუარი მაჩვენებელია ცხოვრების წინმსვლელობისა. მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს იმისთანა ერისთვის, როგორიც არის ქართველები, სადაც არ მოიპოვება არავითარი ეროვნულ-კულტურული დაწესებულება. ქართველმა ხალხმა უკვე იგრძნო მისი დიადი მნიშვნელობა, და ამიტომაცაა, რომ ამ უკანასკნელ დროს არა თუ პროვინციალურ ქალაქებში, არამედ დაბა სოფლებშიაც კი მრავლად იმართება წარმოდგენები.

საგარეჯოში თითქმის ოცდა თხუთმეტი წელიწადი იქნება, რაც პირველად ჩაიყარა საფუძველი წარმოდგენების მართვისა, ადგილობრივ ინტელიგენციის მეცადინეობით, რომლითაც მადლიანად არის დაჯილდოვებული ეს მხარე. მას აქეთ წელიწადი ისე არ გასულა, რომ ოთხჯერ ან სამჯერ მაინც არ გამართულიყოს წარმოდგენა. მაგრამ ამისთანა მრავალ-რიცხოვან სოფლისათვის, როგორიც არის საგარეჯო, სამიოთხი წარმოდგენა არა კმარა, რადგანაც მოკლებულნი არიან სხვაგვარ გონების მასაზრდოებელ დაწესებულებას. ამისათვის საჭიროა, რომ ხშირად იმართებოდეს ხოლმე წარმოდგენები. ამისი განხორციელება კი შესაძლო იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საგარეჯოში ხელოვნებას თავისი საკუთარი ტაძარი გაუჩნდება თეატრის აშენებით. ამ რამდენიმე წლის წინად ადგილობრივმა საზოგადოებამ აღძრა ეს საკითხი. ამის შესახებ მოახდინეს რამდენიმე კრება, ამოირჩიეს კომისიის წევრები, რომელთაც დაევალათ საქმის წინამძღოლობა. პირველ ხანად საქმე თითქოს კარგად მიდიოდა. ამორჩეულნი პირნი დიდის ხალისით მოეკიდნენ საქმეს, თანხასაც მოუყარეს თავი, და გვაიმედებდნენ, რომ ამ ცოტა ხანში საგარეჯოელებს იამაყებდნენ თავიანთ ღირსხნის წადილის [illegible] მაგრამ [illegible] სულ ამაოდ ჩაიარა. [illegible] წარმოდგენები ჩვეულებრივად იმართებოდა. ხალხის სურვილიც მისადმი დღითი დღე იზრდებოდა. საკუთარ შენობის შეძენის შესახებ ამ უკანასკნელ სეზონში კიდევ აღიძრა საკითხი. დაინიშნა რამდენჯერმე კრება, მაგრამ ამაოდ; სულ უმცირესი რიცხვი წევრებისა ესწრებოდა. ბოლოს როცა მოატანა შემოდგომამ, რის ვაი-ვაგლახით, წერილებით, კაცების დაგზავნით მოუყარეს თავი წევრებს და ამრიგად შესდგა უკანასკნელი კრება, რომელზედაც უნდა გადაწყვეტილიყო აუცილებლივ საგარეჯოს თეატრის ბედ-იღბალი.

კრებამ საჭიროდ სცნო საკუთარ შენობის შეძენა, მით უფრო, რომ შენობა, სადაც აქამდე იმართებოდა წარმოდგენები, საეჭვო იყო მომავალ წელსაც დაუთმობდნენ თუ არა. სხვა ადგილას კი შესაფერი შენობა ვერ იშოვება. ამოირჩიეს რამდენიმე პირი საქმის წინამძღოლად. ორი ადგილობრივი და ერთიც—ქალაქში მცხოვრები. მათი მოვალეობა იყო საჭირო თანხა შეეგროვებინათ შემდეგის საშუალებით: ნაღდი ფული იყო გამართულ წარმოდგენების შემოსავლიდან დარჩენილი, რომელიც შეადგენდა სულ უმცირეს ნაწილს. საჭირო თანხისას, უმთავრესად კი დაევალათ მათ შემოწირულების მოგროვება, რომლითაც ვარაუდით შესდგებოდა 600 მან. მერე სად არიან ეს არჩეულნი პირნი? შეასრულეს ეს თავიანთი მოვალეობა? როგორც სჩანს, ჯერ ეს საქმე ქაღალდსა და კრებას არ გასცილებია.

მოვაგონებთ ერთხელ კიდევ ამ საქმის წინამძღოლებს ისარგებლონ ამ რამდენიმე თვით და გამოიჩინონ შესაფერი ფხა და უნარი, რომ პირნათლად ეჩვენონ საგარეჯოს საზოგადოებას. **გარეჯლიშვილი.**

## საღამო სახალხო სახლში.

ორშაბათს, 9 იანვარს, ზ. სახალხო სახლში, ჩვეულებრივზე აწეულ ფასებში და, მგონი, საქველმოქმედო მიზნით, გაიმართა საღამო, რომლითაც მრავლად თავ-შეყრილი საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა და მართლაც ჩვენ დიდ თეატრიდანაც იშვიათად წამოვსულვართ ისეთი კმაყოფილი, როგორც აღნიშნულ საღამოდან. მწყობრად და თითქმის უნაკლულოდ შესრულებულ მხიარულ, აზრიან პიესას და არა ნაკლებ გამახალისებელ საკონცერტო განყოფილებას არ შეიძლება საზოგადოების გული არ მოეგო.

პირველად, მსახიობ ზ. გედევანოვის რეჟისორობითა და მონაწილეობით, დადგმულ იქმნა ჩვენშიაც ცნობილი ოსტროვსკის 4 მოქ. კომედია „შემოსავლიანი ადგილი". ამ კომედიის დაწერის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და იგი კიდევ დიდ ხანს

# მუშის ხელ-ფასი ძველად და ეხლა.

IV.

**(ეკონომიურ ცხოვრების განვითარებასთან ერთად).**

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მრეწველობის აღორძინებამ ჩვენში სიცოცხლე გამოაფხიზლა, ხალხი აამოძრავა, კულტურა განავითარა. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ძველი ცხოვრებიდან აღარაფერი დაგვრჩა, ქალაქები გაიზარდა, ხალხმა იქ მოიყარა თავი, სოფელში მხოლოდ საჭირო ხალხი დარჩა და ამით მათი შრომაც განაყოფიერდა, მათს შრომას უფრო დიდი ასპარეზი გაეხსნა.

სოფლის დაცალიერების კონკრეტიულ მასალების მოყვანა, რაიცა შრომის ამგვარ სასურველ მდგომარეობაში ჩაყენებას მოასწავებს—ფრიად საინტერესოა, სამწუხაროდ, ამ წუთას ხელთ არ მაქვს ამის საილიუსტრაციო მასალა, მაგრამ განა ამას არა ჰმოწმობს ჩვენი ქალაქების ზრდა-განვითარება? საიდან შეიძლებოდა ქალაქის მცხოვრებთა არაბუნებრივი გამრავლება, თუ არა სოფლიდან, ყრუ და განუვითარებელ კუთხეებიდან? შეიძლება გვითხრან, ჩვენს ქალაქებში უმთავრესად უცხო ელემენტები ჩამოვიდნენ და იმან გამოიწვია ასეთი ზრდა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვისაო—ეს რამოდენადმე სამართლიანი შენიშვნა იქნებოდა, რომ ის ზრდა, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა არა-ბუნებრივ ზრდაში გამოისახა—მართლა შედრებოდეს უცხო ელემენტების შემოსვლას ჩვენს ქალაქებში. ნამდვილად კი ჩვენი ქალაქების არა-ჩვეულებრივი, არა-ბუნებრივი ზრდა-გამრავლება ჩვენი სოფლის ხალხის მოძრაობით უნდა აიხსნას. თვით ჩვენი ცხოვრების ახალ ვითარებათა ფაქტებით და აი სწორედ ეს ფაქტები ჩვენ საინტერესო რამეს გვეუბნებიან: საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა მოძრაობა აი რა საგულისხმიერო ციფრებს წარმოადგენს: იყო *)

| ქალაქებში | 1886 წ. ორ. სქ.**) | 1897 წ. ორ. სქ.***) |
|---|---|---|
| ტფილისი | 78.445 | 160.645 |
| ახალქალაქი | 4.303 | 5.443 |
| ახალციხე | 16.116 | 15.387 |
| გორი | 7.243 | 10.457 |
| დუშეთი | 2.027 | 2.456 |
| სიღნაღი | 10.604 | 8.998 |
| თელავი | 11.214 | 11.810 |

მთელ ტფილისის გუბერნიაში, განსაკუთრებით წინ წაწეულა ხალხის რიცხვით ტფილისი და გორი. პირდაპირ თვალსაჩინოა ტფილისის მსვლელობა, მაგრამ გაცილებით მეტ საგულისხმოს და მეტ განვითარებას გვიჩვენებს ჩვენ დასავლეთ საქართველოს ქალაქების ცხოვრება. ეს კი ჩვენ ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ევროპიული ცხოვრება მთელ თავის შედეგებით და თვისებებით უფრო ადრე დასავლეთ საქართველოში განვითარდა. განა შემდეგი ცნობა ამის ცოცხალი დამამტკიცებელი არ არის? მცხოვრებთა რაოდენობა უდრიდა:

| ქალაქებში | 1886 წ. ორ. სქ. | 1897 წ. ორ სქ. |
|---|---|---|
| ქუთაისი | 22.643 | 32.492 |
| ბათუმი | 14.803 | 28.512 |
| რედუტ-კალე | 382 | 885 |
| ოზურგეთი | 1.472 | 4.694 |
| ფოთი | 4.709 | 7.666 |
| სოხუმი | 412 | 7.809 |

დასავლეთ საქართველოს ყოველ ქალაქში ვხედავთ ჩვენ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვის შესანიშნავ ზრდასა და წინ მსვლელობას, ეს ციფრები აშკარად გვიმტკიცებს, რომ ქალაქებს მრავალი ხალხი მოუტაცნია სოფლებიდან, მრავალი მუშახელი გამოუყვანია ბაზარ-ბირჟაზე.

ქალაქის არა-ბუნებრივ გამრავლებით, მცხოვრებთა კონცენტრაციით,—როგორც ვთქვით, ქალაქის ცხოვრება აზვირთდა, ქალაქის მოთხოვნილება გადიდდა, ქალაქის შემოსავალ-გასავალი გაორკეცდა, ქალაქის ბიუჯეტი და საერთო ხარჯთ-აღრიცხვა მეტად გადიდდა. ამ მხრივად მეტად საინტერესოა ჩვენი ქალაქების გამოფხიზლება, ჩვენი ქალაქების აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარება. რას გვეუბნება შემდეგი ცნობები?

| წლები. | ქალაქები | შემოსავალი: ჩვეულებრივი და არა-ჩვეულებრ. ათასი მან. | გასავალი: სხვა და სხვა საგნებზე. ათასი მან. | ქალაქები | შემოსავალი: ჩვეულებრივი და არა-ჩვეულებრ. ათასი მან. | გასავალი: სხვა და სხვა საგნებზე. ათასი მან. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1849 | ტფილისი | 1.123,2 | 101,6 | | 303,9 | 210,5 |
| 1895 | ახალქალა. | 1.155,0 | 982,3 | ქუთაისი | 299,3 | 189,1 |
| 1896 | ახალ-ციხე | 1.222,2 | 1.100,8 | ბათომი | 321,9 | 222,4 |
| 1897 | გორი | 1.256,4 | 1.184,1 | ოზურგ. | 387,0 | 217,3 |
| 1898 | დუშეთი | 1.265,2 | 1.234,7 | ფოთი | 919,8 [1]) | 809,2 [2]) |
| | სიღნაღი | | | | | |
| | თელავი | | | სოხუმი | | |

აქა ვხედავთ ჩვენი ქალაქების დიად ორომტრიალს, მათ აღებ-მიცემობის შესანიშნავ განვითარებას. რომ კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიოთ ამ განვითარებაზე შევაერთოთ ყველა ქალაქები, მათი გასავალ-შემოსავალი და მეტად საგულისხმო აზრს დავასკვნით. ყველა ქალაქებში გასავალ-შემოსავალი უდრიდა:

1894 წელში—1,739,2 ათას მანეთს
1895 „ —2,625,7 „ „
1896 „ —2,867,3 „ „
1897 „ —3,044,8 „ „
1898 „ —4,228,9 „ „

ვგონებ, ნათელია ჩვენი ქალაქების აღებ-მიცემობის ქედ-უხრელი და შეუჩერებელი წინ სვლა, კიდევ მეტ აღებ-მიცემობისაკენ, კიდევ მეტ სიცოცხლესა და ახალ ფორმაციებისაკენ. და ეს განვითარება, ამ უდიდეს მოვლენაში ჩვენმა მუშა ხალხმა დიდი საქმე იშოვა, მის შრომას დიდი გასავალი აღმოუჩნდა. როდესაც ჩვენ გვინდა მეცნიერულად შევისწავლოთ შრომის ფასის, ხელ-ფასის მოძრაობის მდგომარეობა საქართველოში, ჩვენ წინდა-წინ ნამდვილი წარმოდგენა უნდა გვქონდეს ჩვენს ცხოვრებაზე, თორემ უბრალო ციფრების ერთი მეორეზე დაპირისპირება განა საკმაოა?

ეხლა ვხედავთ, რომ ჩვენს უფერულ ცხოვრებაში ქალაქების დიდი ორომტრიალი განვითარებულა და ეს ორომტრიალი უმთავრესად და მხოლოდ შრომის ფარგალში მოხდა. რა გავლენა იქონია ცხოვრების ასეთმა განვითარებამ მუშის ხელფასზე? აიწია თუ დაიწია მუშის ქირამ? რამ უნდა ყოფილიყო? რას გვეუბნება სინამდვილე?—

პოლიტიკურ ეკონომიის ანბანური ჭეშმარიტებაა და ამ ჟამად ეკონომიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მუშის ხელ-ფასის რაოდენობა პირველ ყოვლისა დამოკიდებულია მუშის მთელ მოთხოვნილებათა კომპლექსზე, მუშის იმ აუცილებელ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაზე, ურომლისოდ მუშას არ შეუძლიან თავისი თავი გამოჰკვებოს, იყოლიოს ოჯახი და განავითაროს მწარმოებელი ძალა. ეს არის უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ხელ-ფასის მდგომარეობა. მეორე, შედარებით ნაკლები გავლენა სამუშაო ქირაზე აქვს ეგრედ წოდებულ მეტოქეობას, მეტოქეობას თვით მუშათა შორის, ბაზრის პირობებს, შრომაზე მოთხოვნილებას და სხვა. ეს უკანასკნელი პირობანი ამ უკანასკნელ ხანებში მუშათა კლასობრივ თვით-შეგნებისა და ორგანიზაციის გავლენის ქვეშ დიდად იმყოფება და ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა ხელფასის მოძრაობაზე.

მაგრამ უმთავრესი ვიკითხოთ: რა გავლენა იქონია სოციალ-ეკონომიურად ჩვენი ცხოვრების განვითარებამ იმ მუშის მოთხოვნილებათა საგნებზე, რომლის საერთო კომპლექსი შეადგენს ნამდვილად სამუშაო ქირას? ე. ი. სახმარებელ ნივთებზე, საარსებო საგნებზე, კულტურულ და სულიერ საზრდოზე? აი აქ, ამ მოვლენაში დიდი ამბები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში აქ მთელ თავის სიტიტვლით ვხედავთ ჩვენის ცხოვრების მთელ სოციალ-ეკონომიურ ძირითად ცვლილებას.

ქალაქურ ცხოვრების განვითარებით სოფელი ქალაქს დაუახლოვდა, ქალაქი სოფელსა, ორივე უცხო ქვეყანას, მთელ ქვეყნიერებას და ამან შეჰქმნა ჩვენში დიდი ბაზარი, დიდი მოთხოვნილება ყოველ შრომის ნაყოფზე. საქართველოდან იწყება სოფლის ნაწარმოებთა უცხო ქვეყნებში გატანა, ყოველგვარ ნივთის,

*) „Сборникъ статистическихъ свѣдѣній...:" გვ. 18—19.

**) По посемейнымъ спискамъ 1886 г.

***) По однодневной переписи 1897 г.

1) აღნიშნული სასტატისტიკო კრებული არ გვაძლევს ქუთაისის 1898 წლის შემოსავლის ცნობას, ჩვენ ავიღეთ 1897 წლის შემოსავალი და ის შევიყვანეთ 1898 წელში. რა თქმა უნდა, ამით სინამდვილეს არ დავშორდებით. ავტორი.

2) 1898 წლამდე **გასავალში** ბათომის ცნობა არაა შეტანილი, ხოლო 603,2 ათასი მან. შედის ქუთაისის ქალაქის 1897 წლის ოდენა გასავალი, რაიც ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს.

არ დაჰკარგავს თვის საგულისხმიერო მნიშვნელობას იმ დრომდე, სანამ ხარბ და ანგარების მოყვარე ბიუროკრატიის ხელში იქმნება ქვეყნის მართვა-გამგეობა.

პიესის ასრულებაში, ბ. გედევანოვის გარდა, მონაწილეობას იღებდნენ მსახიობნი: ჩერქეზიშვილისა (კუკუშკინა), ლეჟავა (პოლინა) და დახელოვნებულნი სცენის მოყვარენი: ხონელი-პიასეცკაია (იულია), რომანიშვილი-დგებუაძე (ანნა პავლოვნა), ლ. ჩიქოვანი (ბელოგუბოვი), პეპანოვი (ჟადოვი), მარკოზოვი (ვიშნევსკი) და სხვანი. როგორც ზემოთაც ვთქვით თითქმის ყველა მონაწილეთა თამაში ერთნაირად ხელს უწყობდა პიესის მწყობრად ჩატარებას, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან: ბ. გედევანოვი, რომელმაც უტყუარად დაგვიხატა გაიძვერა, მექრთამე და სინიდის გარეცხილ მოხელის ტიპი, რომელიც თვის უფროსის წინაშე მის ფეხის მტვერია, არარაობა და თვის ხელ-ქვეითადმი კი ღვთის რისხვაა. ეს ის მოხელეა, რომელიც პირველად რომ შესულა სამმართველოში „ზოგი არაყისთვის აგზავნიდა და ზოგი მჟავე კიტრისათვის“ და წერა-კითხვის ოდნავ მცოდნეს თვისი გაიძვერობამლიქვნელობით დიდ მოხელეობამდე მიუხწევია. ქ-ნი ჩერქეზიშვილისაც თავის ადგილას იყო: იგი თვისი სიკაპასით აღარც კი ეტეოდა სცენაზე: მოგეხსენებათ რომ ისეთი ნიჭიერი დრამატურგი, როგორიც იყო ოსტროვსკი, ფერადებს არ დაიშურებდა დასახატავად თითქმის მთელი რუსეთის ყველა სიძეებისათვის საზიზღარ არსებისას, რომელსაც теща (სიდედრი) ჰქვიან...

ჩვენ გვიკვირს, რატომ სახალხო სახლში არსებულ სც. მოყვარეთა დასში არ ირიცხებიან ისეთი სასარგებლო ძალები, როგორებითაც ამ საღამოს ჩვენ პირველად ვნახეთ და გვეჩვენენ ბ.ბ. ლ. ჩიქოვანი, პეპანოვი და მარკოზოვი. ბ. პეპანოვმა თავისი პასუხსაგები ჟადოვის როლი ისეთის დაკვირვებით და ბუნებრივობით ჩაატარა, რომ, მგონი, ბევრს ჩვენ ნაფიც მსახიობსაც გაუჭირდებოდა.

ქ-ნ ლეჟავას უნდა შევნიშნოთ, რომ პოლინა გათხოვების შემდეგ მაინც, აღარ დარჩებოდა ისეთი გადაჭარბებული „გულუბრყვილო არსება“, როგორიც იმან დაგვიხატა მეორე მოქმედებაში. ეგრეთვე, როდესაც ის რუსულ ტიპის, ქერა პარიკს იკეთებს ხოლმე ამ პარიკით რიგიანად უნდა დაიფაროს ხოლმე თვისი შავი თმა; ეს წვრილმანია, მაგრამ მაყურებლის შთაბეჭდილებას ანელებს.

საღამოს მეორე განყოფილებაში, ფილარმ. საზოგადოების მცირერიცხოვანმა ხორომ სტ. დალაქიშვილის ლოტბარობით და ზ. ფალიაშვილის აკომპანიმენტით მწყობრად შესრულა სიმღერები: „ალი ფაშა“, „ნანა“ სამშობლო“ და საცეკვაო „ცანგალა და გოგონა“, რომელზედაც დაუარა ქ. ჩერქეზიშვილისამ, სოფლის დედაკაცურად გამოწყობილმა. ხოროს ხმებში სარძნობლად აკლდნენ მობანენი.

ბ. იანქოშვილმა წაკითხულ სცენებით საზოგადოება აცინა. იყო კიდევ ერთი ქართველი ახალგაზდა, რუსულად მომღერალი, რომელმაც უყურადღებოდ დასტოვა მაყურებელ-მსმენელთა მოთხოვნა და არ მოისურვა ქართულად სიმღერა.

კიდევ ერთი შენიშვნა: ნეტავი თქვენის დღეგრძელობით გამოჩნდებოდეს ისეთი რამ მადლიანი ძალა, რომელიც შეასმენდეს ამ სახალხო სახლშიაც კი მოსიარულე „მოპარუსკე“ ქალიშვილებს, რომ მშობლიურ ენის საფუძვლიანად არ ცოდნა გაცილებით მეტი თავის მომჭრელი სირცხვილია, ვიდრე უცხო ენის არ ცოდნა, მით უმეტეს დამტვრეულ რუსულით ჟღურტული. ან რუსული ენა შეიბრალონ, ან მსმენელთა ყურები.. **ციხელი.**

## საკოოპერაციო სექცია
### ქართულ ს. ს. საზოგადოებისა.

უკანასკნელ წლებში კოოპერატიულმა მოძრაობამ სწრაფად და ფართოდ გაიდგა ფეხი საქართველოში.

სახელმწიფო ბანკის შემწეობით გაიხსნა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მრავალი წვრილი კრედიტის ამხანაგობა. მაგრამ ამ უკანასკნელთა სწრაფი გამრავლება, საჭირო რიცხვის მცოდნე მომუშავეთა ნაკლებულება და საკრედიტო საქმის არა იდეური წარმოება უფრო სახიფათო მოვლენად გადაიქცა, რადგანაც შესაძლოა, რომ ამ ზემო მოყვანილ მიზეზების გამო, ბევრი მათგანი დაიღუპოს და მასთან ერთად ჩვენს სოფელს სრულიად გაუცრუვდეს იმედი კოოპერატიულ ორგანიზაციების სარგებლობისა.

ქართ. ს.-ს. საზოგადოება თანახმად თავის სამუშაო გეგმისა, რომელშიაც უმთავრეს მიზნად დასახული აქვს მტკიცე იდეურ ნიადაგზე დააყენოს არსებული კოოპერატიული ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს ახალ ორგანიზაციების დაარსებას და, საერთოდ, გაუძღვეს კოოპერატიულ მოძრაობას საქართველოში, —დაარსა ამ დიად მნიშვნელოვან საქმის განსახორციელებლად საკოოპერაციო სექცია.

9 ნოემბერს, 1911 წ. მოხდა პირველი დამფუძნებელი კრება საკოოპერაციო სექციისა. ამ დღიდან სექცია შეუდგა მუშაობას და ყოველ მხრივ ჩვენი ქვეყნის პირობების გამოკვლევის და გათვალისწინების შემდეგ შეიმუშავა სექციის: 1) საერთო მოქმედების პროგრამა, და 2) გეგმა პრაქტიკულ მოღვაწეობისა 1912 წლის განმავლობაში.

### ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის მოქმედების საზოგადო პროგრამა.

1. სასოფლო კოოპერაციის იდეის პროპაგანდა და გავრცელება მის შესახებ ნამდვილის წარმოდგენისა საუბრებისა და ლექციების საშუალებით, ბროშურების და პლაკატების გამოცემით და კოოპერატიულ დაწესებულების ხელმძღვანელთა და მოღვაწეთათვის კითხვებისა და კურსების მოწყობით.

2. პროვინციებში კოოპერატივების ორგანიზაცია შემდეგის სისტემით: შეთანხმებულ-შეერთებული მოქმედება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა, სპეციალურ კოოპერატივებისა და მომხმარებელ საზოგადოებებისა.

**შენიშვნა:** მომხმარებელი საზოგადოება არსდება სოფლად მხოლოდ განსაკუთრებულ საჭიროების დროს და ადგილობრივ პირობების ზედმიწევნით გათვალისწინების შემდეგ.

3. ყოველ რაიონში აღინიშნება თითო ან რამდენიმე პუნქტი. თვითეულს პუნქტში არსდება საკრედიტო ამხანაგობა და ერთ-ერთი გვარი სასოფლო კოოპერაციისა. ასეთ კოოპერატივებთან საერთო ანგარიში აწყობს საცდელს და საჩვენებელს მინდვრებს.

ა) იმ რაიონებში, სადაც მისდევენ ხვნა-თესვას, არსდება საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი, რომელთა მიზანსაც შედგენს მიწოდება წევრთათვის მეურნეობაში საჭირო იარაღებისა და მანქანებისა, ნიადაგის გასაპოხიერებელ ნივთიერებისა, გაუმჯობესებულის თესლისა, კარგის ჯიშის საქონლის სახურებელის პუნქტისა და სხვა (ქართლი, ივრის ხეობა და ქიზიყი).

ბ.) მევენახეობის რაიონში არსდება საკრედიტო და მეღვინეთა ამხანაგობა ყურძნის საერთო დასამუშავებლად, მეღვინეობაში საჭირო მანქანებისა და ვენახის შესაწამლ ნივთიერების მისაწოდებლად და სხვა. ასეთ ამხანაგობების კავშირის საშუალებით მოწყობა მომავალში მეღვინეთა ნაწარმოების საერთოდ გასაღება.

გ) იმ რაიონებში, სადაც მეხილეობას მისდევენ, არსდება საკრედიტო და მეხილეთა ამხანაგობა, რომლის მოქმედება ვრცელდება ფართო რაიონზე. პირველს ხანებში ასეთი ამხანაგობა მიზნად ისახავს მეხილეთა ნაწარმოების გასაღებას. შემდეგ არსდება უფრო წვრილ წვრილი მეხილეთა ამხანაგობანი, რომელნიც მთავარს ყურადღებას მიაქცევენ ხეხილის ბაღებისა და ხილის დამუშავება-შენახვის ტეხნიკის გაუმჯობესებას.

**შენიშვნა:** წვრილი ამხანაგობანი უნდა შევიდნენ პირველად დაარსებულს სარაიონო ამხანაგობაში, რომლის მიზანიც იქნება მხოლოდ წევრთა ნაწარმოების გასაღება.

დ) მესაქონლეობის რაიონებში არსდება საკრედიტო ამხანაგობა მერძეობის ამხანაგობით საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად, საზიაროდ კარგის ჯიშის ბუღის გამოსაწერად, სახურებელ პუნქტების და საკლავ საქონლის საერთოდ დახოცვის მოსაწყობად და სხვა.

ე.) ამავე წესით არსდება კოოპერატივები სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგებისაც.

4. არსებულ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა ინსტრუქტორობის მოწყობა.

5. პირველად დაარსებული ამხანაგობანი სამუდამოდ რჩებიან სექციის და სარაიონო აგრონომის მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ. ასეთი ამხანაგობანი, როგორც სამაგალითონი, ხელს შეუწყობენ დაარსებაში ახალს კოოპერატივებს, რომელნიც უნდა მოეწყვნენ თავისით და ადგილობრივის ძალების თაოსნობით.

6. ახლო მომავალში საჭიროა დაარსება რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა კავშირისა, რომელშიაც შევლენ წევრებად ყველა ადგილობრივი კოოპერატივები.

7. ზემოდ აღნიშნულ კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსების დროს სექცია ხელმძღვანელობს შემდეგის მოსაზრებით:

ა) აარსებს კოოპერატივებს იქ, სადაც მას მოითხოვს ადგილობრივი შესაფერი საჭიროებანი; ითვალისწინებს ყოველს კონკრეტულს შემთხვევაში ადგილობრივს მოთხოვნილებას, სახსარს, ინტელიგენტურს ძალას და სხვა გარემოებებს.

ბ) ეხმარება როგორც უკვე არსებულს კოოპერატიულს დაწესებულებებს და სხვა გვარ ასოციაციებს, აგრეთვე ისეთებს, რომელნიც ახლად არსდება და სცდილობს დააყენოს მათი მოქმედება კოოპერატიულს გზაზე.

გ) სერიოზულ ყურადღებას აქცევს ჩვენს სოფლებში არსებულს კოოპერაციის პირველ ყოფილ ფორმებს: ხანულობას, ნაცვალგარდობას, მოდგაძობას და სხვა; ეცდება გამოიყენოს იგი, როგორც მზა-მზარეული საძირკველი, შესაფერის კოოპერატივის დასამყარებლად.

**გ ე გ მ ა**

**საქ. სექციის პრაქტიკულ მოღვაწეობისა 1912 წლის განმავლობაში,**

1) სექციის ხელმძღვანელობით 1912 წ. იანვარში მოეწყობა საუბრები კოოპერაციისა და ანგარიშის წარმოების შესახებ სპეციალურად სადგილ-მამულო კომისიის ინსტრუქტორთა, ქართულ ს.-ს. საზ. აგრონომთათვის, აგრეთვე გარეშე წრის მცირე ხალხისთვის, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საკოოპერაციო კითხვებით.

2) ზაფხულის დასაწყისში ქ. ტფილისში სექცია მოაწყობს ხოლმე ყოველ-წლიურ კურსებს კოოპერაციისა და ანგარიშის შესასწავლად კოოპერატიულ დაწესებულებების მოღვაწეთა და მუშაკთათვის. **კურსები** მოეწყობა 1912 წლიდან.

3) მიეცემა ეხლავე საკრედიტო ამხანაგობებს ტფ. გუბერნიისას საინსტრუქტორო დახმარება, ყველა იმას, რომელიც კი საჭიროებს ასეთს დახმარებას. ამიტომ სექციამ დაადგინა— მოწვეულ იქმნეს **ინსტრუქტორი**— ანგარიშის მწარმოებელი.

4) სექციის ხელმძღვანელობით მოეწყობა ქართლში ამხანაგობა მეხილეთა ნაწარმოების გამსაღებელი.

5) მოეწყობა მერძეობის ამხანაგობა სოფ. დიდ-ლილოში (ტფ. მაზრა). უკანასკნელ გეგმის განსახორციელებლად საკოოპერაციო სექციამ მოიწვია ინსტრუქტორი ა. მ. კახელაძე და უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

სექციის მდივანი **დავით ვაჩნაძე.**

---

ყოველგვარ საქონლის ყიდვა-გაყიდვა. გუშინ თუ ყველაფერი არაფრად ღირდა, აუარებელი სიმდიდრე ოხრდებოდა და ფასი არ ჰქონდა, დღეს ყველაფერს ფასი მიეცა, ყველაფერი იყიდება. ძველი თუ ახალი, მთელი თუ ნაგლეჯი, მოსახმარი თუ მოუხმარებელი—ყველაფერს ყიდულობენ და ყველაფერი მიაქვთ. მომეცით, მომეცით!—იძახის ბაზარი და ჩვენი ხალხი ამ გამოძახილს ერთიანად ეწაფება. ჩვენი ნაწარმოების გატანა სხვა და სხვა კუთხე—ქვეყნებში ღებულობს თვალსაჩინო სახეს და აი ამ გარემოებამ ჩვენი ნაწარმოები, ყოველგვარი საქონელი, საარსებო თუ გასაცვლელი ნივთები გააძვირა, ფასი შეჰმატა. ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ალ. ხახანაშვილის წიგნში [1]) თქვენ აშკარად დაინახავთ, თუ როგორ გაძვირებულა სოფლის ყოველივე ნაწარმოები, სოფლის ყოველივე ნაშრომი, ნაყოფი.

ცხადია, როცა საყიდელი საგნები ძვირდება, იაფდება ფული, ვერცხლი, ოქრო. ადამიანის მოთხოვნილება იზრდება, მატულობს, და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი მასალები კი ძვირდება. რა უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში, რანაირად უნდა დააკმაყოფილოს მუშა ხალხმა ასეთ პირობებში თავისი მოთხოვნილებანი? რა თქმა უნდა, ის ძველ პირობებით, ძველ საშუალებებით, ძველ შეძლებით ვერ უზრუნველჰყოფს თავის მწარმოებელ ძალას; ამიტომ პირდაპირ ეკონომიური აუცილებლობაა იმდენად გაადიდონ მუშის ხელ-ფასი, იმდენად გაზარდონ მუშის შრომის ქირა, რომ მან შესძლოს გართულებულ და გაძვირებულ ცხოვრებას პასუხი გასცეს, შეეგუოს და მწარმოებელ ძალების განვითარება უზრუნველჰყოს.

დიახ, ჩვენში მუშის ხელ-ფასმა მოიმატა, ჩვენს ცხოვრებაში განვითარდა მუშის ძალ-ღონეზე ისეთი ფასები, რომლებიც წარმოშვა და განავითარა მთელმა ევროპამ. დღეს მთელ საქართველოში ვერ ჰნახავთ —გარდა არა ჩვეულებრივ და იშვიათ შემთხვევებისა—მუშას, რომელიც დღეში ორ აბაზად და სამ აბაზად მუშაობდეს. თითქმის ყოველ სოფელში, ყოველ კუთხეში, ქალაქის ყოველ სახელოსნოში, ყოველ ქარხანაში, სამრეწველოში შრომის ქირა მომატებულია, აბსოლიუტურად მეტია, ვიდრე წინად იყო. სხვა საკითხია სამუშაო ქირის შედარებითი და რეალური რაოდენობა მისის ძალისა. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ მუშის ხელ-ფასმა ჩვენში თვალსაჩინოდ იმატა.

მე-XIX-საუკუნის მიწურულში, განსაკუთრებით 1902-წლამდე საქართველოს ცხოვრება ვაჭრობა-აღებმიცემობის ციებ-ცხელებაში იყო, ის ვითარდებოდა და მუშათა ხელფასიც ძლიერ აიწია. 1902 წლიდან ჩვენში,—როგორც მთელ რუსეთში, განვითარდა საშინელი ეკონომიური კრიზისი, ამ კრიზისმა ჩვენში მრავალი უმუშავარი დაბადა, ულუკმა-პურო და ამ გაჭირვებულმა მდგომარეობამ მუშის ხელფასი უკანასკნელ მინიმუმზე დაიყვანა.

1909 წლიდან კი ჩვენს ცხოვრებაში ეკონომიურ ცხოვრების აღორძინების ნიშნებს ვხედავთ, სოფლის მეურნეობაში და სამთამადნო მრეწველობაში, ქალაქებში სიცოცხლე სათანადო სახეს იღებს, მრეწველობა ვითარდება და ეს უტყუარი თავდებია იმის, რომ მუშათა კლასის სამუშაო ქირაც მოიმატებს. მოიმატებს იმიტომ, რომ მუშა ხელზე გაიზრდება მოთხოვნილება, გაიზრდება მუშა ხალხის თვითშეგნება, მოძრაობა და ყოველივე ეს კი უტყუარი თავდებია უკეთეს პირობებისა, უკეთეს მომავლისა.

ამ უკანასკნელ ხნის ზოგიერთი ცნობებიც რომ ავიღოთ, მაგალითად, სოფლის მუშა ხელფასი, მაშინაც კი ვხედავთ მუშის ხელ-ფასის მომატებას, ქირის გადიდებას. მაგალითად, ტფილისის გუბერნიაში თავის სარჩოთი მუშა-მთიბავს დღიურად აძლევენ 40—200 კაპეიკამდე, საშუალოდ ექვს აბაზს, დამქირავებელის ხარჯზე 30—150 კაპ.—საშუალოდ 80 კაპეიკს. ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოდ მუშა ხელზე მეტი მოთხოვნილებაა და იქ მეტი ფასებიცაა. ამას ეხებოდა ამას წინად „სახალხო გაზეთში“ ბ. ავალიანი და მოჰყავდა რამდენიმე კონკრეტიული მაგალითი აღნუსხულ დებულების დამამტკიცებელი. აქ რაღა საჭიროა მისი მოყვანა, აბა ვისღა არა სჯერა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე? გადაშალეთ 1909 წელში სასტატისტიკო ბიუროს მიერ გამოცემული: „Сельско-хозяйственный обзоръ тифлис. губ. 1908 г.“ და ამას თქვენ ნათლად დაინახავთ. საინტერესო მხოლოდ ის ღა იყო, თუ რა პირობებში, როგორ გაიზარდა ხელ-ფასი, რა პირობებმა გამოიწვია ეს უკანასკნელი და სხვა. ჩვენ რამდენადმე ეს შევასრულეთ ჩვენს წერილებში და მით ხელი შევუწყეთ ამ ფრიად საინტერესო კითხვის უფრო გაშუქებას.

—

P. S. ეს წერილი დამთავრებული მქონდა, როდესაც მივიღე მიწათმომქმედ და მიწათ-მომწყობ უმთავრეს სამმართველოს 1911 წლის ცნობები [illegible] შესახებ, მუშა ხელ- [illegible] ქირაზე და სხ. [illegible] [illegible]

**თევ. ღლონტი.**

[1]) იხ. პროფ. ალ. ხახანაშვილის „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“

## არეულობა სპარსეთში
**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.**

**რუსებზე თავდასხმა.**

მარანდიდან თავრიზს ამბავი მისულა, ქოის ახლო, ურმიაში დაბანაკებულ რუსის რაზმს ქურთთა ბრბო შემოერტყა და რაზმი დიდ გაჭირებას განიცდისო.

**რეშტის რეაქციონერები.**

განთქმული რეაქციონერი მუჯალალი, რომელიც ჯერ შაჰსევენებში იყო, შემდეგ არდებილი აიღო და თავრიზის ალყის შემორტყმაში მონაწილეობა მიიღო, ეხლა რეშტთან გაჩნდა.

მთავრობის ცნობით მაჰომედ-ალი ისევ რეშტშია და თეირანზე გასალაშქრებლად ემზადებაო.

**ფინანსთა საქმის მრჩეველი.**

ბელგიელ მორნარისა და შუსტერის მიერ მოწვეულ მოხელეთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ამერიკელები აცხადებენ, ბელგიელებთან მუშაობა შეუძლებელიაო. ამერიკელებმა განაცხადეს, რუსეთის ულტიმატუმის მიღებით ხელშეკრულება დაარღვია სპარსეთმაო და სამის კვირის ჯამაგირს მოითხოვენ. მთავრობა უარს ეუბნება. რადგანაც ამ უთანხმოებაში ჩარევა არ მოინდომა შეერთებულ შტატების კონსულმა, ამერიკელი მოხელენი ვაშინგტონის მთავრობას სთხოვენ დახმარებას. სპარსეთის მთავრობამ უფროს ხაზინადრის უფლებანი შეჰკვეცა. მარნარმა ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით უნდა იმუშაოს. ლიბერალები ძალიან აღელვა ბელგიელთა საქციელმა.

**ფიდაების აგიტაცია.**

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში უთქვამთ „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტისათვის, თუმცა სპარსეთის მთავრობამაც და ჩვენც ყოველივე ვიღონეთ, რომ თავრიზში არეულობა არ განმეორებულიყოს, მაგრამ საქმე მაინც საფრთხილოაო. თავრიზიდან გაქცეული მოქალაქენი პროვინციებში დადიან და ხალხს რუსების წინააღმდეგ აქეზებენო.

— თავრიზიდან თეირანს ამბავი მოსულა, სამად-ხანმა 200 მანეთი ჯილდო დანიშნა, ვინც რუსების წინააღმდეგ მოქმედების მონაწილეს აღმოაჩენსო.

— ამბობენ, ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს სპარსეთის ყურეში ნავთსადგურები დაიპყროსო.

— „ტაიმსს“ ატყობინებენ, ძველ შაჰს მაჰომედ-ალის გადაუწყვეტია სპარსეთი მიატოვოს და ევროპაში გადასახლდესო. იქ შაჰი რუსეთისგან დანიშნულ პენსიით იცხოვრებსო.

## ჩინეთის რევოლუცია
**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**პეკინი.** ხმა დავარდა, იუანშიკაის დასასვენებლად მიცემულ ვადას გაუგრძელებენო. აქაური ოფიციოზი ამბობს, თუ მეფემ ტახტზე ხელი აიღო, შეიძლება ქალაქში აჯანყება მოახდინონ დინასტიის მომხრეემა და მანჯურებმაო. გაზეთს იმედი აქვს, იუანშიკაი პეკინში მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვას შესძლებსო.

**მუკდენი.** ქვეითა ჯარის მე-77, მხედართა მე-20 და არტილერიის მე-20 პოლკი ლუანჩჟოუდან სინომინტინს გადაიყვანეს. მათ ადგილს მანჯურიის უფრო საიმედო და გამოცდილ ჯარს ჩააყენებენ.

**ტოკიო.** იაპონელ მილიონერს ოკურას განზრახვა აქვს ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობას 4½ მილიონი მანეთი ასესხოს 22 იანვარს. ამ ფულში ქირად მისცემენ შანჰაისუჯოუს რკინის გზას, რომელიც უკვე დაგირავებული აქვთ მის გამყვანელ ინგლისელ კაპიტალისტებს. „ასახი-სიმბუნი“ ამბობს, განზრახულია, გარდა ამის, 10 მილიონი კიკიდევ ისესხონო. „ძიძი-სიმპო“ იაპონელთ ურჩევს, სხვას ნუ დაუთმობთ და სესხის გაცემით თქვენ მოიპოვეთ [illegible]

**კულჯა.** მშვიდობიანნი ჩინელნი ახალ [illegible] ხლდნენ. კულჯა რუსთა ვაჭრების ახალშენთა ცენტრია. ჩინელთა ქაღალდის ფულის ფასი დაეცა, რუსეთისას ფასი მოემატა.

**კუანჩენძი.** აქ დაბანაკებული 300 ჯარისკაცი შანჰაიგუნს გაიგზავნა, პეკინიდან მოსულ ბრძანებისამებრ. მათ მაგივრად სამი ბატალიონი მოდის.

**ჩიფუ.** აქაურმა მმართველმა ყველა კონსულებს აცნობა, მმართველობა ნანკინიდან გამოგზავნილ გენერალ თუჯანს ჩავაბარეო. აქედან სამი კრეისერი და სამი საბარგე გემი გაიგზავნა, ამბობენ, რევოლუციონერთა რაზმი დამარცხდა და მათს საშველად გემები გაგზავნესო.

**ვენა.** გაზეთები სწერენ, შკოდას ზარბაზნის ქარხანამ ჩინეთისაგან ამას წინად შეკვეთილი ზარბაზნები გაჰგზავნაო. ჩინეთი სცდილობს ვენის ბანკებიდან ფული ისესხოს და შეკვეთის დასრულება უზრუნველჰყოს. სესხის საქმე ჩინეთში არეულობის ატეხას შეუფერხებია.

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ**

**იუანშიკაის ბრძანება.**

პროვინციის ყველა მმართველთ იუანშიკაიმ გაუგზავნა განკარგულება, ქვეყნის დაწყნარებას ხელი შეუწყეთო.

—თუმცა იმპერატორის ჯარმა რამდენჯერმე სახელოვნად გაიმარჯვა, მაგრამ ძნელია აუარებელ პროვინციათა დაპყრობა, განსაკუთრებით უფულობის გამოო,—ამბობს იუანშიკაი. სამშვიდობო მოლაპარაკება ვერაფერს გახდა. ჯარიც აჯანყებას აპირებს. შეიძლება საქმეში უცხო სახელმწიფონი ჩაერივნენ. ჩინეთის სამეფო გვარეულობამ დიდებული, უმაგალითო მსხვერპლი შესწირა ხალხს და მიზნად დაისახა მანჯურთა და ჩინელთა ერთ ნაციად შეერთება. ამისათვის მეფე თავის უფლებას ისევ ხალხს უბრუნებსო,— დასძინა იუანშიკაი.

## იტალია-ოსმალეთის ომი
**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**რომი.** ამბობენ, გენერალი პეკორი-ჟირლადი ტრიპოლიდან მოდის ავადმყოფობის გამოო. მის მაგივრად ანკონის დივიზიის უფროსს გენერალ კამერანს ჰნიშნავენ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა დესპანებსა ჩ ელჩებს გამოუცხადა, ოსმალეთის ომისა გამო მეწამულ ზღვის ნაპირები, სარიზიდან ვასგულაიფაომდე, ალყა შემორტყმულად უნდა ჩაითვალოსო.

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.**

**ლონდონი.** მალტიდან იუწყებიან, გენერალ კანევის და მის ხელქვეითებს თათბირი ჰქონდათ: კანევამ განაცხადა, რომიდან ბრძანება მივიღე გარიანზე გალაშქრების საქმე გადავდო, რადგან შეიძლება დავმარცხდეო, ეს კი ცუდად იმოქმედებდა სამშვიდობო მოლაპარაკებაზეო.

## დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**ს ა ზ ღ ვ ა რ-გ ა რ ე დ.**

9 იანვარი.

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრად ჰაჯი-ადილი დანიშნეს. ახალ პალატას 23 მარტს მოიწვევენ! არჩევნები თებერვალში დაიწყება. მთავრობა სენატს დაჰპირდა, ზავის თაობაზე მოლაპარაკებას ახალ პალატის შეკრებამდე არ დავიწყებთო.

**ვენა.** გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული გაზეთები იუწყებიან, თუნდ ერენტალი გადადგეს, მისი პოლიტიკის განგრძობა აუცილებელიაო. თუ იგი ავადმყოფობისაგან განიკურნა, ისევ იმსახურებს. წაქეზებამ ვერა გააწყო-რა: ერენტალს იმპერატორი წინანდებურად ნდობით უცქერის.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ლაროშმა აღნიშნა, ჩვენის გემების ინციდენტის მსგავსი რამ არ უნდა განმეორდესო. ადმირალმა ბიგნემ სთქვა, იტალიამ საფრანგეთის სახელი შელახა და ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ თავმოყვარეობის დასაცავადაო. პუანკარემ სთქვა, რომში მყოფ ჩვენს წარმომადგენელს მივანდეთ, „კართაგოს“ ინციდენტისაგან მოყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს იტალიასაო. გემი „კართაგო“ საფოსტოა და ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოჰპყრობოდნენო. ეტყობა, იტალიელებმა შეცდომა ჩაიდინეს, ამ შეცდომამ კი ფრანგები აზარალაო.

**სტამბოლი.** კაბინეთში ცვლილება მოჰხდება. კაბინეთში იქმნებიან თალაათი, ჯავიდი, აგრეთვე „ერთობისა და პროგრესის კომიტეტის" მდივანი; სამინისტრომ განკარგულება მოახდინა არჩევნებისთვის მოემზადენითო.

**ბერლინი.** დეპუტატად აირჩიეს, სხვათა შორის, პოსადოვსკი. ნამინისტრალის დეპუტატად არჩევა პირველი შემთხვევაა, სულ 72 სოციალ-დემოკრატი აირჩიეს. მათ 8 ადგილი მოიპოვეს, ხუთი დაჰკარგეს. სულ შვიდი ადგილი დაჰკარგეს.

# რუსეთი

**დრამა სასტუმროში.** ოდესაში რესტორან „დოდიში" შესულან პორუჩიკი მუშაკოვიჩი და გოლოვჩენკოვისა, ადგილობრივი სამუსიკო სასწავლებლის მოწაფე. მათ ცალკე კაბინეტი მოუთხოვნიათ.

მცირე ხნის შემდეგ ოთახიდან კვნესა შემოესმა მოსამსახურეს, რომელმაც მსწრაფლ მიაშურა ოთახს და გოლოვჩენკოვისა იატაკზე მდებარე ნახა.

— თავი მოვიწამლე, გთხოვთ, ნუ ეცდებით ჩემს გადარჩენასო,—უთქვამს ქალს. იგი ერთი საათის შემდეგ გარდაცვლილა.

**საერთა-შორისო ქურდი.** ოდესაში შეუპყრიათ საერთა-შორისო ჯიბგირი ადოლფ დუბინი, რომლის სამოქმედო ასპარეზი განსაკუთრებით ამერიკაა. გამოკითხვის დროს დუბინს განუცხადებია, რუსეთში მხოლოდ დასასვენებლად მოვდივარ და აქ ქურდობას არ მივდევ, რადგან რუსეთში ქურდობას აზრი არა აქვს, ბევრი ფულის ჯიბით ტარება მიღებული არ არის და ამასთანავე კი კანონიც სასტიკად სჯის ქურდობისთვისაო.

**საბუთების მოპარვა.** კრასნოიარსკში სასამართლოს გამომძიებელს სისხლის სამართალში მიუცია სოვდაგარი გრჟიბოვსკი ბავშვის წამებისთვის.

გამომძიებლის საქმის მწარმოებელს ამ საქმის შესახებ ყველა ქალალდები მოუპარავს და გრჟიბოვსკისთვის გადაუცია. გრჟიბოვსკის 300 მანეთი მიუცია საქმის მწარმოებლისათვის და ქალალდები კი დაუწვავს. სასამართლოს საქმის მწარმოებელისათვის 3 წლის გამასწორებელი განყოფილება და უფლებების ჩამორთმევა მიუსაჯიათ.

# წვრილი ამბები

**გველების თავდასხმა ამერიკის გემზე.**

11 იანვარს ნიუ-იორკის ნავთსადგურში შევიდა გემი, რომელიც შორის გზიდან დაბრუნდა და რომელსაც გზაში არაჩვეულებრივი ამბავი შეემთხვა. (კალკუტაში, სხვათა შორის, გემზე შემოიტანეს რკინის გალია, რომელშიაც მოთავსებული იყვნენ შხამიანი გველები ნიუ-იორკის ნაციონალურ ზოოლოგიური ბაღისათვისა. გველები ისეთი შხამიან ჯიშისა იყო, რომ მათი შხამის წინააღმდეგ არავითარი საშუალება არ არის აღმოჩენილი. მგზავრობის მეხუთე დღეს მეზღვაურთ შეამჩნიეს, რომ გალიის კარები ღიაა და გველები გემს მოსდებიან. აუწერელმა შიშმა აიტანა გემის მოსამსახურენი. მეორე დღეს ერთმა გველმა მეზღვაურს უკბინა, მეზღვაური ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ თავზარი დასცა მეზღვაურთ. მთელს გემზე თითქოს საალყო წესები დამყარდა. გემის უფროსმა რაზმი შეადგინა გველებთან საბრძოლველად, მაგრამ ისინი ისეთ ადგილას ჩაიმალნენ, რომ იქ მისვლა ვერავინ შესძლო. ასეთი მდგომარეობა მთელი მოგზაურობის დროს გაგრძელდა. ნიუ-იორკში მოსვლისას ბევრ მეზღვაურს სიგიჟის ნიშნები გამოაჩნდა და სამკურნალოში გაგზავნეს.

# წერილი რედ. მიმართ

ქართულმა დრამატიულმა დასმა მოისმინა-რა „სახალხო გაზეთის" წინადადება შესახებ იმ ინციდენტისა, რომელიც მოხდა 6 იანვარს ქართულ თეატრის დერეფანში მსახიობის კონსტ. მესხის და „სახალხო გაზეთის" რეცენზენტის დავით კასრაძის შორის დაადგინა:

კ. მესხის საქციელი არა სასურველი მოვლენაა, მაგრამ, როგორც ეს კ. მესხის სიტყვითა სჩანს, მისი საქციელი გამოწვეული ყოფილა დ. კასრაძის შეუსაბამო პასუხით. ქართ. დრ. დასი გამოსთქვამს-რა თავის მწუხარებას ამ ინციდენტის გამო თან იმედოვნებს, რომ შემდეგში მაინც მწერლობასა და სცენის შორის დამყარდება ისეთი ურიერთობა და შეგნებული დამოკიდებულება, სადაც ადგილი არ ექნება არავითარ შეურაცხყოფას და პირად შებღალვას.

**ტფილისის ქართ. დრამატ. დასი.**

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში, როგორც უკვე მოეხსენება საზოგადოებას, „ლალატის" გასამართლებამ ვერ ჩაიარა თანახმად აფიშაში მოთავსებულ განცხადებისა. თქვენს პატივცემულ გაზეთის №-496-ში მოთავსებულ წერილის „გასამართლება"-ს ავტორს ეჭვი შემოაქვს ჩვენს სისწორეში და თავის თავს ეკითხება „ხშირად დაუკითხავად აცხადებენ, ვითომ და მონაწილეთა გვარებს. კვირის გასამართლებაშიაც ასე იყო თუ არა, ვერ ვიტყვითო"...

უნდა მოგახსენოთ, რომ განცხადებაში და აფიშებში სულ ყველა მოთავსებული პირნი გადაჭრით შემპირდნენ მონაწილეობის მიღებას. აფიშის დაბეჭვდის შემდეგ მხოლოდ ბ-მა გ. გორდეზიანმა მაცნობა, რამდენიმე დღის წინად უარი. სამაგიეროდ ბ-ნი ია ცინცაძე შემპირდა, რომ ის გამოვიდოდა დამცველად გ. გორდეზიანის მაგიერ, მაგრამ გასამართლების დღეს იმანაც უარი შემომითვალა შუადღის 1 საათზე. ბრალდებულთა როლებში ვერ გამოვიდნენ უმთავრესად სახალხო სახლის გამგის მიზეზით, რომელმაც აგვიკრძალა გრიმით გამოსვლა, ხოლო უგრიმოთ გამოსვლა ზეინაბისა და ოთარბეგის როლებში, ჩვენის აზრით, არ იყო მოხერხებული. რაც შეეხება გასამართლების დაწყების შეგვიანებას ამის მიზეზი ბ. ბ. მონაწილეთა მოუსვლელობა იყო, ხოლო ბ-ნმა ი. გომართელმა ორის ნახევარზე გვაცნობა მოუსვლელობის მიზეზი. დანარჩენ მონაწილეთ კი სრულიად არავითარი ცნობა არ მოუციათ, რომ ველარ იღებდნენ მონაწილეობას.

ა.—დ—ძე.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს „სახალხო" გაზეთის მახლობელ ნომერში ამ წერილს: ულრმესს მადლობას ვუცხადებ „„Закавказье"-ს „თემის" და „მნათობის" რედაქციებს, რომლებმაც შარშან უფასოდ უგზავნეს თავიანთი გამოცემანი და „მნათობის" გარდა, (რომელიც აღარ გამოდის) ახლაც უგზავნიან ქ. შ. წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოების ვერის სახალხო ქართულ სამკითხველოს.

ვერის სამკითხველოს გამგე
**ნინო ენუქიძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალოჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალოჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალოჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალოჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/60, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

# განცხადებანი


გამოცდილმა
**მასწავლებელმა**
**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.61)



წელიწ. მეორე 1912 წ. **კოლხიდა** წელიწ. მეორე 1912 წ.

**გაზეთის დასაკვეთი ფასი:**

ერთის წლით . 7 მ.
ნახევარის წლ. . 4 მ.
ერთის თვით . 4 აბაზი.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი ამნაირ შეღავათიან წესით შეუძლიან გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს—3 მან., პირველ ენკენისთვეს—2 მან.

ცალკე ნომრის ფასი — 1 შაური, მისამართის გამოცვლისათვის—ათი შაური.

**გაზეთის დასაკვეთად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგ პირთ:**

**ტფილისში:** ტიტე ართმელაძეს და მიხაკო ლაღიძეს, **ბაქოში** პლატონ გელოვანს და ივ. ელიაშვილს, **ბათომში**—ანდრია დეკანოზიშვილს, **ოზურგეთში**—ვასილ ხუნდაძეს, **ფოთში**—კოსტ. გამყრელიძეს, **სამტრედიაში**—გიორგი სიხარულიძეს და ისიდორე სტურუას, **ხონში**—ქიქიკო ქუთათელაძეს და მოსე ჭელიძეს, **ძვ. სენაკში**—დომენტი ოყროშიძეს, **ზესტაფონში**—აბაშიძის მეუღლეს ალექსანდრას და იოსებ გუნცაძეს, **ჭიათურაში**—ისიდორე ვარაზიშვილს და სოფრომ ტარუაშვილს, **სოხუმში**—ნიკ. ჩიქოვანს, **კავკავში**—იასონ ლორთქიფანიძეს.

(3.1009.1)



**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა**
**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**
**„ნაკადულ"-ზე**
**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**
**24** **წიგნი** „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** **წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, განჯაში—ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—13 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**



**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**
**ნ. ვ. აბრაამიანის**
**საბუღალტრო კურსები**
**არსებობს 1895 წ.)**

ავტორი „ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრის 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუხალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია და რემინგტონ.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5—7 ს.-მდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს; ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, **ტელეფონი № 744.**

(10,1652.6)



სააქციონერო საზოგადოება
**„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია"**
იზმაილოვის პროსპექტი № 27.
პარიზი 1900 წ. **ოქროს მედლები** მაკარია 1896 წ.
**გლიცერინი ველური**
**საშუალება, რომელიც კანს ინახავს ჭორფლისა, ფერიმჭამლისა, სახის სიჭარხლისა, ქარის დაკვრისა და სიცივის გავლენისაგან.**

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის" საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება,** მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება:

**„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია",**

და ნიშანს საზოგადოებისას. რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **„იმპერატორ პეტრე დიდისა",** ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.






მ თ ა ვ ა რ ი ს ა წ ყ ო ბ ი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1296—8)



**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**
**ჯეჯილი**
**ოცდა მესამე წელიწადი.**
**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.**

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარეპისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მ., ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ-გარედ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიჰმართონ **ქუთაისში**—ის. კვიცარიძეს; **თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; **სიღნაღში**—კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; **ჭიათურაში** ნიკო წუწუნავას; **სამტრედიაში**—პელ. რამიშვილს; **ქ. გორში** თამ. თარხნიშვილს; **ბათუმში**—მიხ. კალანდაძეს. წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრად ორი წიგნი: **„ლომ-კაცი",** ზღაპარი **გ. წერეთლისა,** სურათებით და **„ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები",** ალ. ჭიჭინაძისა, სურათებით.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтск. журнал. „Џжеджили".

(3.1440.2) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**



**15 იანვრიდან 1912 წ.**
**არსდება პარალელური განყოფილება**
სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს უწყებაში მყოფ
**პრაქტიკული კურსები ბუხალტერიისა და საკომერციო ანგარიშისა**
**ი. ფ. პალატნიკოვისა.**
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 132.

კურსებზე ორთავ სქესის მსმენელთ ასწავლიან საფუძვლიანად და დამთავრებულ ცოდნას, რომ დამოუკიდებლად შეეძლოთ საკანტორო-საბუხჰალტრო და სავაჭრო მიწერ-მოწერის წარმოება. კურსებზე შემსვლელი საფუძვლიანად შეისწავლის: 1) ა) **ბუხჰალტერიას;** უბრ. ორმაგს, იტალიურს, გერმან., ამერიკ., ფრანგ. და ახალს რუს. (ყველა სისტემი, შესწავლის დროს სავალდებულო პრაქტიკულ ვარჯიშობით; ბ) **ანგარიშის წარმოებას** სააღებ-მიცემო, საბანკო, საქარხნო, სამეურნეო, ქალაქთა და ერობათა სამმართველოს. 2) საკომერციო არითმეტიკას. 3) სავაჭრო უფლებათ. 4) თამასუქების საქმეს. 5) სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას. 6) ჩოთქზე ანგარიშს. 7) კალიგრაფიას—ლამაზსა და მართლ-წერას. 8) საბეჭდ-მანქანაზე მუშაობას. 9) საარითმეტიკო მუშაობას, რათა უფრო უკეთესად შეისწავლონ კურსები, იქვე არსებობს მოსამზად. განყოფილება, რუსულისა და არითმეტიკის შესასწავლად. **მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან, 1912 წ., ჯარის კაცთა და მოწაფეთ, თუ სამისო საბუთებს წარმოადგენენ, სასწავლო ფულს ნაწილ-ნაწილ ახდევინებენ.** პროგრ. და წესდება უფასოდ ეძლევა და ეგზავნება ყველას

(5.1005.3) კურსების დამაარსებელი **ი. ფ. პალატნიკოვი.**

P. S. კურსები მსურველთ ურჩევენ ბუხჰალტერ-კორესპონდენტებს თავის თავდებობით.



**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლის**
**ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო**
**გ ა ზ ე თ**
**„ბათუმის გაზეთ"-ზე**

**1912 წლის პირველ იანვრიდან „ბათუმის გაზეთი" გამოვა**
**გადიდებულ ფორმატით**

ფასი კი იგივეა, ე. ი. 1 წლით 4 მან., ნახევარ წლით 2 მან. 50 კაპ., 1 თვით 60 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.

მიუხედავად ასეთ სიაფისა 1912 წ. წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ **პრემიად ერთ მან.** ღირებული წიგნები, ამორჩევით იმ სიიდან, რასაც მახლობელ ნომერში გამოვაცხადებთ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ შემოიტანონ **თითო** მანეთობით წინ და წინ ოთხის თვის განმავლობაში. **ხელის მოწერა მიიღება: ბათუმში,** რედაქციასა და კანტორაში, ერისთავის ქუჩაზე, ვაგანიანცის სახლში, **ქუთაისში** ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში" ისიდორე კვიცარიძესთან, **ოზურგეთში** მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში, **სოხუმში** იოსებ კორტთან, **ფოთში** ბესარიონ ვაშაკიძესთან, **ოჩამჩირეში** ანთიმოზ ტრაპაიძესთან, **სამტრედიაში** ლავრენტი ჭუმბურიძესთან, **საჯევახოში** ვლადიმერ რამიშვილთან, **ჩოხატაურში, ხიდისთავში** და **მიხაილოვ-ში** სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში, **ნატანებში** დიმიტრი სადრაძესთან, **სუფსაში** პავლე ვადაჭკორიასთან, **ქობულეთში** (ჩურუკ-სუში) ქრისტეფორე გიორგაძესთან და **ლანჩხუთში** მელიტონ ქერქაძესთან. (3—11008—1)


ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა